

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით.....	2
მოგება/ზარალის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი საშუალებები	7
4. სასაქონლო მატერიალური მარაგები	8
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
6. სასესხო ვალდებულებები	8
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
9. სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	10
10. ადმინისტრაციული ხარჯები.....	10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-18	31-12-17
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	8,411,288	4,974,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,411,288	4,974,839
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	1,545,191	1,055,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	594,128	453,350
ფული და ფულის ექვივალენტები		854,589	221,615
სულ მიმდინარე აქტივები		2,993,908	1,730,942
სულ აქტივები		11,405,196	6,705,781
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(4,217,163)	(2,217,163)
გაუნაწილებელი მოგება		(518,582)	(319,364)
სულ კაპიტალი		(4,735,745)	(2,536,527)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6	(4,744,348)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(4,744,348)	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	6	(766,597)	(2,064,030)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	(1,158,505)	(2,105,224)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		(1,925,102)	(4,169,254)
სულ ვალდებულებები		(6,669,451)	(4,169,254)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(11,405,196)	(6,705,781)

დირექტორი:




ტ.შავერდამილი

მოგება/ზარალის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018
შემოსავალი		2,070,303
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(1,462,509)
სართო მოგება		607,794
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	455,905
სადისტრიბუციო ხარჯები		(750)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(300,626)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(21,693)
საოპერაციო მოგება		740,630
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი		(541,412)
მოგება გადასახადებამდე		199,218
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		199,218

დირექტორი:





ტ.შავერდაშვილი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის მდგომარეობით

	2018
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	
ფული მიწოდებული პროდუქციიდან	2,454,681
გადახდილი ფული მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე	(2,335,330)
ფული ოპერაციებიდან	119,351
გადახდილი პროცენტი	(73,846)
სულ ფული საოპერაციო საქმიანობიდან	45,505
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითად საშუალებებში გადახდილი ფული	(4,838,766)
სულ ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,838,766)
ფული საფინანსო საქმიანობიდან	
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	2,000,000
სესხების მიღება	3,431,979
სულ ფული ფინანსური საქმიანობიდან	5,431,979
საკურსო ცვლილების სხვაობა	(5,744)
სულ ფულადი ნაკადების ცვლილება	632,974
ფული და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	221,615
ფული და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	854,589

დირექტორი:



ტ.შავერდაშვილი

შპს „ჯორჯიან ფექიჩინგი“ (ს/კ 404521629)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	2,217,163	319,364	2,536,527
წმინდა მოგება		199,218	199,218
2018 წლის 31 დეკემბერი	4,217,163	518,582	4,735,745

დირექტორი:



ტ. შავერდაშვილი

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წარდგენა და გამოშვებული პროდუქცია

კომპანია „ჯორჯიან ფექიჯინგი“ სურსათის პირველადი შესაფუთი მასალების მწარმოებელი კომპანიაა რეგისტრირებული 2016 წლის 20 ოქტომბრიდან საიდენტიფიკაციო კოდით: 404521629. დაფუძნებული 100%-ით „შპს სეზანის“ მიერ. ფაქტობრივი ადგილმდებარეობა წერეთლის გამზ. N140. „ჯორჯიან ფექიჯინგი, ფუნქციონირებს საქართველოსა და საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრებზე.

კომპანიის საწარმოში გათვალისწინებულია უვნებელი და მაღალი ხარისხის შესაფუთი მასალების წარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა: საწარმოო სათავსოები ქაღალდის ნედლეულის დამუშავებისათვის, საამქროები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ბეჭდვის, ჭრის, ფორმირების, დაფასოება-შეფუთვის დანადგარებით და დამხმარე სისტემებით, გაყვანილობები, საჭირო რაოდენობის ტექნიკური საშუალებები, დამხმარე მოწყობილობები, ინვენტარი.

კომპანიის ძირითადი პროდუქტები

სხვადასხვა ზომის ქაღალდის ჭიქები ცხელი და ცივი სასმელებისთვის; პლასტმასის თავსახურები ჭიქებისთვის; საკვები პროდუქტის შესაფუთი ერთჯერადი მუყაოს ყუთი; კრაფტის ჩანთა პურ ფუნთუშეულისთვის; კრაფტის ჩანთა სახელურით.

პროდუქტის დასამზადებელი ერთ-ერთი ძირითადი ნედლეულია ქაღალდის ნედლეული, რომლის მიღება და დამუშავება ხდება წარმოებაში.

ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს სპეციფიკური მოთხოვნები ნედლეულის და მასალების მიმართ და პერიოდულად აკონტროლებს მზა პროდუქტის ხარისხს და უვნებლობას აკრედიტებულ ლაბორატორიაში.

ყველა საექსპორტო მიწოდების წინ მზა პროდუქტის ხარისხი და უვნებლობა მოწმდება აკრედიტებულ ლაბორატორიაში. ორგანიზაცია ინახავს საარბიტრაჟო ნომუმებს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე, სადაც პროდუქტის შენახვა უზრუნველყოფილია სიცოცხლის ციკლის განმავლობაში ეტიკეტზე მითითებულ დასაწყობების პირობებში.

კომპანიის მიზანი

კომპანია „ჯორჯიან ფექიჯინგი“ ბიზნესის განვითარების ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის დამზადებას საქართველოში. კომპანია მიზნად ისახავს აიმაღლოს ცნობადობა და გახდეს შესაფუთი მასალების ოფიციალური მწარმოებელი და მიმწოდებელი სწრაფი კვების ინდუსტრიის მსხვილი და მულტინაციონალური კორპორაციებისთვის. მიზნის განსახორციელებლად, კომპანია ნერგავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, გადაამუშავებს მხოლოდ შესაბამისად სერთიფიცირებულ ნედლეულს, განახორციელებს წარმოების ხარისხის ყოველდღიურ კონტროლს საწარმოო პროცესების გასაუმჯობესებლად და ორიენტირებულია კლიენტის მოთხოვნებზე.

საქართველოში არსებული კანონმდებლობის და საერთაშორისო ნორმატიული მოთხოვნების შესრულებისათვის, ასევე მომხმარებლის უვნებელი პროდუქციით უზრუნველყოფისათვის, ორგანიზაციაში დაწყებულია GFSI (Global Food Safety Initiative) -ის მიერ აღიარებული სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა - FSSC 22000 – საერთაშორისო სტანდარტების: ISO 22000, ISO 22002.4, ISO 9001-ის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება არ ყოფილა წარდგენილი

საზოგადოების საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა ხდება ოპერაციის დღეს კონვერტაციით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით

მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საზოგადოება 2018 წლამდე იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია

3. ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. ცვეთის დასარიცხად ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა განისაზღვრა შემდეგნაირად:

მანქანა დანადგარები	7-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

2016 წლის დეკემბერში ორგანიზაციამ დედა კომპანიისგან შეისყიდა მიწა, რომელზეც დაიწყო ახალი საწარმოს მშენებლობა. მიწისა და დაუმთავრებელი მშენებლობის საბალანსო ღირებულებები ყოველი პერიოდის ბოლოს მოცემულია ცხრილში

	31-12-18	31-12-17
მიწა	2,043,206	2,043,206
დაუმთავრებელი მშენებლობა	4,339,745	1,018,868
მანქანა-დანადგარები	1,922,472	1,910,680
საოფისე აღჭურვილობა	6,264	2,085
სატრანსპორტო საშუალებები	91,873	-
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	7,728	-
სულ	8,411,288	4,974,839

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანია იყენებს სასაქონლო მარაგების აღრიცხვის თვითღირებულებით აღიარების მეთოდს, ხოლო ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებას სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ჰქონდა მშენებლობა, მარაგები დაყოფილია ორ კატეგორიად: მარაგები, რომლებიც წარმოებაში გამოიყენება და სამშენებლო მარაგები

	31-12-18	31-12-17
ნედლეული და მასალები	1,120,290	648,614
სამშენებლო მასალები	424,902	407,363
სულ	1,545,191	1,055,977

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნების დარიცხვა, ისევე როგორც შემოსავლის აღიარება, პროდუქციის რეალიზაციის დროსვე ხდება როცა მყიდველის მხარეს გადადის პროდუქციის მფლობელობა და რისკი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება მოთხოვნების შეფასება და შესაბამისი მიუღებელი შემოსავლის რისკის ხარჯად აღიარება მოთხოვნის ხანდაზმულობის მეთოდის მიხედვით

	31-12-18	31-12-17
სავაჭრო მოთხოვნები	342,548	272,043
სავაჭრო მოთხოვნის კორექტირება	(14,900)	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	199,436	119,874
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები	67,043	61,433
სულ	594,128	453,350

6. სასესხო ვალდებულებები

ორგანიზაციის ბალანსზეა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები „სს თიბისი ბანკთან“ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება წარმოიშვა მშენებლობის დაფინანსების ინიციატივით, რომელიც აღებულია ლარში, პერიოდის ბოლოს მომდევნო წლის გადასახდელი ძირი ნაწილი გადატანილია მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში, ხოლო მოკლევადიანი სესხებით დაფინანსებულია საბრუნავი კაპიტალი. მოკლევადიანი სესხები, აღებული დოლარსა და ევროში, ბალანსზე წარმოდგენილია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამის ლარის ექვივალენტში

	31-12-18	31-12-17
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარესგან	46,777	-
მოკლევადიანი საბანკო სესხი	719,820	2,064,030
გრძელვადიანი საბანკო სესხი	4,744,348	-
სულ	5,510,945	2,064,030

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საზოგადოებს სავაჭრო ვალდებულებები წარმოიშობა როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისგან მიღებული საქონლის ან მომსახურების მიღებით, ასევე უცხოური მომწოდებლებისგან, რომლის ბალანსზე აღრიცხვაც ხდება შესაბამის დროს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით, ხოლო კურსის სხვაობით გამოწვეული შესაბამისი სარგებელის ან ზარალის აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯების ნაწილში, რაც წარმოდგენილია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში

2018 წლის დასაწყისში კომპანიის ბალანსზე არსებობდა 2,043,000 ლარის ღირებულების ვალდებულება, რომელიც წარმოშობილი იყო მიწის შესყიდვიდან, აქედან 1,500,000 ლარი დაიფარა საანგარიშგებო წლის განმავლობაში

	31-12-18	31-12-17
სავაჭრო ვალდებულებები	1,153,539	2,105,154
მიღებული ავანსები	4,967	70
სულ	1,158,505	2,105,224

8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ორგანიზაციას ხარჯები კლასიფიცირებული აქვს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, ადმინისტრაციული და დისტრიბუციის ხარჯების მიხედვით

	2,018
ნედლეულის ხარჯი	750,443
შრომის ანაზღაურება (წარმოება)	302,254
ცვეთა და ამორტიზაცია	239,179
საიჯარო ქირა	94,511
შეკეთება/რემონტი	41,744
კომუნალური ხარჯები	25,768
დაზღვევის ხარჯები	8,610
სულ	1,462,509

9. სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოების სესხი საწარმოს მშენებლობისთვის დაფინანსებულია „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, საიდანაც მიღებული გრანტი აღიარებულია შემოსავლად, ხოლო როგორც დაფინანსებული, ისე დარჩენილი დაუფინანსებელი პროცენტის ხარჯის აღიარება ხდება საპროცენტო ხარჯად

	2018
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი	452,630
კურსთაშორის სხვაობა გადაფასებიდან (სესხების გარდა)	(18,072)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(-346)
სულ	434,212

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
სამივლინებო ხარჯები	132,223
შრომის ანაზღაურება	92,625
ხარჯი საექვო მოთხოვნაზე	14,900
სხვა ხარჯები	60,878
სულ	300,626

დირექტორი:




ტ.შავერდაშვილი